სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„29“---------09----------“ 2014 წელი

ეგზ N2

ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 27/00

2012-2013 წლების 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის

თბილისი, 2014 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი და მასშტაბი 3

შესაბამისობის აუდიტის მიზანი 3

აუდიტის მასშტაბი 3

აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება 3

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 3

აუდიტორის პასუხისმგებლობა 3

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა 5

გამოვლენილი გარემოებები 8

2012 წელს განხორციელებული პროექტები 8

სოფლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები 8

თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაცია 9

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაცია (ქ. ლონდონი) 14

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაცია (ქ.ბერლინი) 15

უცხოელი ტურისტებისთვის ღვინის დარიგება 15

მმართველობაში შემავალი კომპანიების მიერ განხორციელებული პროექტები 16

2013 წელს განხორციელებული პროექტები 18

პროექტი „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება“ - 2013წელი 19

პროექტი „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია“ - 2013წელი 20

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ (ყოფილი ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის“) 2012 და 2013 წლებში სახელმწიფო სახსრებით განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოთქვას მოსაზრება ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მიერ 2012 და 2013 წლებში სახელმწიფო სახსრებით განხორციელებული საქმიანობა რამდენად შესაბამისობაშია:

- **მოქმედ კანონმდებლობასთან**
- **სახელშეკრულებო მოთხოვნებთან**
- **სხვა მარეგულირებელ ნორმებთან**

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ საქმიანობის არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მიერ 2012 და 2013 წლებში სახელმწიფო სახსრებით განხორციელებული პროექტების შესაბამისობის დადგენა მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან.

აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების, უზუსტობების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სააგენტოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება: აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სააგენტოს 2012 და 2013 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც აუდტორების მიერ შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი და შესაძლოა გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ (შემდგომში - ფონდი) დაფუძნდა, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების[1], საქართველოს მთავრობის განკარგულებისა[2] და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების[3] საფუძველზე. ფონდის ძირითად მიზნად განისაზღვრა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.

ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის“ ქონება განისაზღვრა სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ აქციათა 100%-ით.

ფონდის მმართველობის ორგანოებია: ფონდის გამგეობა და ფონდის დირექტორი.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით[4], ფონდის გამგეობა განისაზღვრა 9 კაციანი შემადგენლობით (გამგეობას თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი).

ფონდის დაფუძნების მომენტიდან, წესდებით გათვალისწინებული დამფუძნებლის ყველა უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ფონდი წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობა.

ფონდის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6.

წესდების თანახმად, კანონით დადგენილი წესით, ფონდის სახსრები იქმნება: დამფუძნებლის ქონებრივი და ფინანსური შენატანებით, უსასყიდლო საქველმოქმედო შემოწირულებით, საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სესხებითა და გრანტებით, კერძო სექტორის თანადაფინანსებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების[5] საფუძველზე, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდს“ შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ (შემდგომში „სააგენტო“).

სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- საწარმოთა მართვის დეპარტამენტი
- საწარმოთა ქონების გასხვისების სამსახური
- პროექტების მართვის დეპარტამენტი
- იურიდიული სამსახური
- საფინანსო სამსახური
- ადმინისტრაციული სამსახური
- შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური
- მარკეტინგული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

[1] 2011წლის 14 დეკემბერის N817 ბრძანებულება.
[2] 2011წლის 17დეკემბერის N2471 განკარგულება.
[3] 2011 წლის 26 დეკემბრის N1/2715 ბრძანება.
[4] 2011წლის 17დეკემბერის N2471 განკარგულება.
[5] 2013 წლის 28 იანვრის N2-30 ბრძანება.

საწარმოთა მართვის დეპარტამენტი ახორციელებს ქვემოთ ჩამოთვლილ საწარმოებში დებულებით განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას. სააგენტოს მმართველობაში შემავალი საწარმოებია:

- შპს „მექანიზატორი“
- შპს „გორის სასათბურე მეურნეობა“
- შპს „მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანია“
- შპს „მიწის რეაბილიტაციის სააგენტო“
- შპს „საქართველოს სათბურების კომპანია“
- სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“
- შპს „მარცვლეულის შესანახი ცენტრები“
- შპს „საკვები წარმოების კომპანია“
- შპს „ქართული ბოსტნეული“
- შპს „გრუზვინპრომი“
- სს „აკურა“

საწარმოთა მართვის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციაა სააგენტოს მმართველობაში შემავალი სახელმწიფოს 50% და მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ბიზნესგეგმების პროექტების შემუშავება, სააგენტოში მისი წარდგენის მონიტორინგი და ბიზნესგეგმის პროექტის განხილვა. დეპარტამენტს ევალება დამტკიცებული ბიზნესგეგმების შესრულებაზე მონიტორინგი, საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მიღება 6 თვეში ერთხელ, აგრეთვე შესაბამისი წინადადებების მომზადება და სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის წარდგენა, რაც 2012 წელს სრულყოფილად ვერ განხორციელდა, დებულების დაგვიანებით დამტკიცების გამო.

სააგენტოში მიმდინარე რეორგანიზაციის გამო, მის მმართველობაში შემავალი კომპანიების 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განხილვა-დამტკიცება და 2013 წლის ბიზნესგეგმების განხილვა-დამტკიცება, განხორციელებულია დაგვიანებით, 2013 წლის აპრილ-მაისში. 2013 წლის მეორე ნახევრიდან, აღნიშნული კომპანიების ფინანსური ანგარიშგების განხილვა და რეკომენდაციების გაცემა ხორციელდება ყოველთვიურად.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს ევალება სააგენტოს საქმიანობისა და სააგენტოს მართვაში არსებული საწარმოების, იმ მიმდინარე პროექტების (პროგრამების) მონიტორინგი, რომლებიც დაფინანსებულია სააგენტოს მიერ.

გამოვლენილი გარემოება

მონიტორინგისა და ინსპექტირების სამსახურის თანამშრომლების განმარტებით ისინი მონაწილეობდნენ როგორც ფონდის საწარმოების მიერ, ასევე უშუალოდ ფონდის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა მონიტორინგში. თუმცა ჩატარებული სამუშაოებისა და მათი შედეგების შესახებ წერილობითი დოკუმენტები არ იქმნებოდა, რითაც ირღვეოდა, დებულების მოთხოვნა, „სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, ბრძანებებისა და ინსტრუქციების მომზადების“ შესახებ. 2012 წელს ფონდის მონიტორინგისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ დებულებით განსაზღვრული მოვალეობის არასრულყოფილად შესრულების გამო, შეუძლებელია გონივრული რწმუნების გამოთქმა იმის შესახებ, თუ რამდენად კონტროლდებოდა პროექტების განხორციელებისათვის გახარჯული 122,014,356 ლარი.

2013 წელს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ შიდა აუდიტორული შემოწმება ჩატარდა სააგენტოს დაქვემდებარებულ სამ საწარმოში (შპს „მიწის რეაბილიტაციის სააგენტო“, შპს „მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანია“, შპს „საკვების წარმოების კომპანია“), გამოვლენილ დარღვევებზე გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, რომლის შესრულების კონტროლი დაგეგმილია 2014 წლის პირველ და მეორე კვარტალში.

სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის განხორციელების მონიტორინგში და შეღავათიანი აგროკრედიტების პროექტის ფარგლებში შექმნილი კომისიების მუშაობაში.

საფინანსო სამსახური თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ბუღალტერიის, ფინანსური დაგეგმვისა და ანგარიშგების, ანგარიშთა მართვისა და ინვესტორებთან ურთიერთობის განყოფილებების მეშვეობით.

2012 წლისათვის ფონდს არ შეუდგენია ფინანსური გეგმა დებულების დაგვიანებით დამტკიცების გამო. შედგენილი იყო მხოლოდ ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით განსახორციელებელი პროექტების ხარჯთაღრიცხვები, რაც განიხილებოდა და მტკიცდებოდა გამგეობის სხდომებზე.

2013 წლის სააგენტოს გააჩნდა დამტკიცებული ფინანსური გეგმა საკუთარი სახსრებით გასაწევი ხარჯების შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები დაფინანსებით განსახორციელებელი პროექტების ხარჯები სააგენტომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთობლივად განიხილეს და შეუთანხმეს გამგეობას, რის შემდეგაც აისახა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტის განაცხადში (ბიუჯეტის პროექტში).

გამოვლენილი გარემოება

2012 წელს ბუღალტერიაში არ იყო გამიჯნული ბიუჯეტის სახსრებიდან და საკუთარი შემოსავლებიდან გაწეული ხარჯები.

ცხრილში წარმოდგენილია სააგენტოს საფინანსო სამსახურის მიერ მომზადებული ინფორმაცია 2012 და 2013 წლებში მიღებული შემოსავლებისა და საკასო ხარჯების შესახებ.

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**
შემოსავალები	**180,248,067**	**365,518,872**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროექტებისთვის მიღებული თანხები	178,575,596	127,357,100
არასაოპერაციო შემოსავლები (საპროცენტო შემოსავლები)	1,672,471	3,897,186
სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან	-	234,264,586
დანახარჯები	**124,013,657**	**354,369,644**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტებისთვის	122,014,356	124,382,002
სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებული თანხები	560,000	30,456,737
სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან	-	196,997,590
ადმინისტრაციული ხარჯები	1,209,417	2,245,939
არასაოპერაციო ხარჯები	229,884	287,376

გამოვლენილი გარემოებები

2012 წელს განხორციელებული პროექტები

2012 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული აქვს 178,575,596 ლარი, საიდანაც ათვისებულია 176,545,159 ლარი (მ.შ. 54,530,803 ლარი ათვისებულია 2013 წელს), ბიუჯეტში დაბრუნებულია 2,030,437 ლარი (მ.შ. 1,470,437 ლარი - 2013 წელს). 25,636,860 ლარის ღირებულების პროექტები უშუალოდ ფონდის მიერ არის განხორციელებული, 150,144,073 ლარის ღირებულების პროექტები - მმართველობაში შემავალი კომპანიების მიერ, ხოლო 764,226 ლარი - საქართველოს მთავრობის განკარგულებით[6] ერთწლიანი კულტურების წარმოებისათვის, სესხის სახით მიეცა სამეწარმეო კოოპერატივ „ქვემო ნიქოზს“ 3 წლის ვადით, წლიური 5%-იანი საპროცენტო განაკვეთით.

ცხრილში მოცემულია სააგენტოს მიერ 2012 წელს განხორციელებული პროექტები:

პროექტის დასახელება	**გამოყოფილი თანხა**	**ათვისებული თანხა**	**დაბრუნდა ბიუჯეტში**
სოფლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები	23,000,000	22,899,851	100,149
თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაცია	2,745,000	2,185,000	560,000
აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა ქ. ბერლინში	360,000	360,000	-
აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა ქ. ლონდონში	100,000	100,000	-
უცხოელი ტურისტებისთვის ღვინის დარიგება	100,000	92,009	7,991
სულ:	**26,305,000**	**25,636,860**	**668,140**

ცხრილში მოცემულია სააგენტოს მმართველობაში შემავალი *კომპანების მიერ 2012 წელს განხორციელებული პროექტები:*

პროექტის დასახელება	**გამოყოფილი თანხა**	**ათვისებული თანხა**	**დაბრუნდა ბიუჯეტში**	**განმახორციელებელი**
ს/ს ტექნიკის განახლება	74,749,770	74,749,770	-	„მექანიზატორი"
საწვავის დარიგება	300,000	259,524	40,476	„მექანიზატორი"
მევენახეობის განვითარება	1,500,000	1,236,402	263,598	„სოფლის მეურნეობის კორპორაცია"
ს/ს წარმოების ინტენსიფიკაცია	46,956,600	45,898,377	1,058,223	მმართველობაში შემავალი კომპანიები
რთველთან დაკავშირებული ღონისძიებები	28,000,000	28,000,000	-	„გრუზვინპრომი“, „აკურა“
სულ:	**151,506,370**	**150,144,073**	**1,362,297**	

სოფლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები

საქართველოს მთავრობის განკარგულებით[7], საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის საგაზაფხულო სამუშაოების ვაუჩერის დაბეჭდვის, ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადაცემის, სარეკლამო რგოლის დამზადება-განთავსებისა და სხვა საჭირო ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 300,000 ლარი, რითაც გაიზარდა სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ კაპიტალი.

[6] 2012წლის 28 მარტის N535განკარგულება.
[7] 2011 წლის 14 დეკემბრის N2470 განკარგულება.

საქართველოს მთავრობის განკარგულების[8] შესრულების მიზნით, ერთჯერადი ღონისძიებების სახით, შემოღებულ იქნა სოფლის საგაზაფხულო სამუშაოების ვაუჩერი, რომელიც ითვალისწინებდა 30 ლარის ნომინალური ღირებულების საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ან სასუქის დაფინანსებას, ან ფულად გასაცემელს 30 ლარის ოდენობით. სააგენტოს დაევალა შესაბამისი ფორმის ვაუჩერის დაბეჭდვა, მოსახლეობის ინფორმირება და სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესასრულებლად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 23,000,000 ლარი მიმართა ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის“ ანგარიშზე.

სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციამ“ პირველ ეტაპზე განახორციელა 747,820 ცალი ვაუჩერის დაბეჭდვა (სიები რეგიონებიდან წარმოდგენილი იყო ენერგოკომპანიებში არსებული მოსახლეობის -აბონენტების შესაბამისი მონაცემების საფუძველზე). ზოგიერთ რეგიონში გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების უზუსტობები, რის შემდეგაც მთავრობის დადგენილებით მუნიციპალიტეტებისგან წარმოდგენილი დამატებითი სიების საფუძველზე, კიდევ დაიბეჭდა 82,474 ცალი ვაუჩერი. სულ დაბეჭდილია 830,294 ცალი ვაუჩერი. ვაუჩერების დაბეჭდვასა და დარიგებაზე სულ გაიხარჯა 226,528 ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა - 73,472 ლარი, ამოღებულ იქნა მისი საწესდებო კაპიტალიდან.

ვაუჩერების მოძრაობა	***რაოდენობა***
სულ დაბეჭდილი	830,294
თვითმმართველობებზე გადაცემული	819,444
მოსახლეობაზე დარიგებული	813,345
უკან დაბრუნებული (დეფექტური)	36,220
მოსახლეობაში დარჩენილი გაუნაღდებელი	15,861
ბანკით განაღდებული	**761,264**
მექანიზაციაზე	28,996
სასუქზე	288,005
ფულადი ფორმით	444,263

თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაცია

საქართველოს მთავრობის განკარგულების[9] საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების გაცნობა-დათვალიერებისა და ექსტენციის სადგურებში ფერმერთათვის ახალი ტექნოლოგიების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის“ ანგარიშზე 1,545,000 ლარის გადარიცხვა, რომელიც ფონდმა მიიღო 2012 წლის 6 მარტს.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით[10], საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის იმავე მიზნებისათვის დამატებით გამოიყო 1,200,000 ლარი, რომელიც ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხა 2012 წლის 19 ივლისს. ამრიგად, 2012 წელს პოპულარიზაციის (აგროტურის) პროექტის ფარგლებში ფონდისთვის გამოყოფილმა თანხამ სულ შეადგინა 2,745,000 ლარი.

ფონდის გამგეობის სხდომის ოქმის თანახმად, მომზადებული იყო პროექტის გეგმა, რომელიც მოიცავდა განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალს. კერძოდ: 2012 წლის აპრილის შუა რიცხვებიდან სექტემბრის თვის ჩათვლით, მოეწყობოდა ტურები ქვეყნის თითქმის ყველა სოფელში მცხოვრები დაინტერესებული პირებისათვის (საორიენტაციოდ, სულ 40,000-მდე ადამიანისთვის)

[8] 2011 წლის 27 დეკემბრის N2588 განკარგულება.
[9] 2012 წლის 29 თებერვლის N367 განკარგულება.
[10] 2012 წლის13 ივლისის N1366 განკარგულება.

განხორციელებული და მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო პროექტების გაცნობა-დათვალიერების მიზნით. პროექტი ითვალისწინებდა ტურების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფას წინასწარ დაგეგმილ ობიექტებზე გადასაყვანად. ფერმერებისათვის/გლეხებისათვის ობიექტების გაცნობას და სათანადო ინფორმაციის მიწოდებას განახორციელებდნენ ფონდის მიერ დაქირავებული გიდები. ობიექტების გაცნობა-დათვალიერების შემდგომ, ტურის მონაწილეებს გადაეცემოდათ სამახსოვრო სასაჩუქრე პაკეტები (ბრენდირებული საკანცელარიო ნივთები, ფონდის მმართველობაში შემავალი საწარმოს მიერ წარმოებული და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სახელმძღვანელოს ნაბეჭდი გამოცემა). ტურის მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ სასმელი წყლითა და ერთჯერადი კვებით.

საქართველოს 10 რეგიონში შეირჩა 40 სადემონსტრაციო ობიექტი, სადაც უნდა შეკრებილიყვნენ ფერმერები განხორციელებული და მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო პროექტების გაცნობა-დათვალიერების მიზნით. ტურის ხანგრძლივობა დღის მანძილზე დაახლოებით 5-6 საათი იყო, გრაფიკი წინასწარ მუშავდებოდა თითოეული რეგიონისთვის.

პროექტის ფარგლებში მიღებული თანხიდან (2,745,000 ლარი) აუთვისებელი თანხა 560,000 ლარი (აუთვისებლობა გამოიწვია პროექტის დაგეგმილ ვადაზე ადრე შეწყვეტამ) დაბრუნებულია სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი თანხით - 2,185,000 ლარით, წარიმართა პროექტი.

ცხრილში მოცემულია პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯები:

დასახელება	**თანხა**
ხელფასები და სასტუმროს ხარჯები	240,521
ტრენინგები და ადმინისტრაციული ხარჯები	21,585
მარკეტინგი და მასთან დაკავშირებული ხარჯები	697,871
საწვავი და ავტომანქანის ხარჯები	564,139
კვების ხარჯები	661,029
სულ :	**2,185,145**[11]

ხელფასები და სასტუმროს ხარჯები

აგროტურს წარმართვდნენ გიდები, რომლებიც აგრარული უნივერსიტეტიდან (სტუდენტები) კონკურსის საფუძველზე შეირჩნენ და გაიარეს სპეციალური მომზადება(ტრენინგი ჩაატარა შპს „აგროგეო +“). შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, სულ დაქირავებული იყო 26 გიდი, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების (ავტობუსები, მიკროავტობუსები) სამართავად - 21 მძღოლი. შრომითი ხელშეკრულებით გიდებისა და მძღოლების ყოველთვიური ანაზღაურება (გადასახადების გარეშე) შეადგენდა 100 ლარს, ამასთანავე თითოეულ ტურზე დამატებით უნაზღაურდებოდათ მძღოლებს 35 ლარი, ხოლო გიდებს 30 ლარი. პროექტის მიმდინარეობას ხელმძღვანელობდა 4 მენეჯერი. სულ განხორციელდა დაახლოებით 520 აგროტური და გიდების, მძღოლებისა და მენეჯერების დარიცხულმა ხელფასმა შეადგინა 157,894 ლარი.

მძღლოლებთან და გიდებთან დადებული შრომითი ხელშეკრულების თანახმად, დამქირავებელი (ფონდი) უზრუნველყოფდა შემსრულებლის (გიდი/მძღოლი) შრომის ანაზრაურების გადახდას მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველი იყო ტაბელი. ფაქტობრივად, გიდებისა და მძღოლების ხელფასების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენდა მხოლოდ ტაბელი, მხარეთა შორის არ არის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რაც შეუსაბამობაშია ხელშეკრულების მოთხოვნებთან.

პროექტის ფარგლებში 50,094 ლარი გახარჯულია გიდების, მძღოლებისა და პროექტის მენეჯერების სასტუმროსა და სხვა თანმდევი სამივლინებო ხარჯების ასანაზღაურებლად.

[11] წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით გაწეულია 2,185,145 ლარის ხარჯი, ანუ ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 145 ლარით მეტი, რაც ფონდის მიერ საკუთარი სახსრებითაა დაფარული.

2012 წლის 27-28 აპრილს, შპს „ინტურისტ პალასში“ (ქ. ბათუმი), საკონფერენციო დარბაზისა და სასტუმროს მომსახურების შესყიდვაზე გადახდილია 12,613 ლარი. სასტუმროს ნომრები გათვალიწინებული იყო 88 კაცზე, თანხით - 5,344 ლარი, ხოლო ბანკეტის ხარჯი შეადგენდა 7,269 ლარს. იმავე მომსახურების შესყიდვა განხორციელდა 2012 წლის 5 ივნისს, ღირებულებით 19,919 ლარი. სასტუმროს ნომერი გათვალისწინებული იყო 131 კაცზე, თანხით 9,473 ლარი, ხოლო საბანკეტო მომსახურებისთვის - 10,446 ლარი.

გამოვლენილი გარემოება

წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს ვის გაეწია სასტუმრო და საბანკეტო მომსახურება შპს „ინტურისტ პალასში“ (ქ. ბათუმი). შესაბამისად, შეუძლებელია პერსონების იდენტიფიცირება და გაწეული ხარჯის (სულ - 32,532 ლარი) მიზნობრიობის დადგენა. ფონდის განმარტებით, ზემოთ აღნიშნული მომსახურებებით ისარგებლეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის მმართველობაში შემავალი სსიპ-ის თანამშრომლებმა პროექტის მიმდინარეობის გაცნობის მიზნით, რაც დოკუმენტურად არ დასტურდება.

ასევე მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ არსებული ნორმატიული აქტის მოთხოვნის გაუთვალისწინებლად, ანაზღაურებულია გიდებისა და მძღოლების სასტუმროს ხარჯებთან ერთად კვების თანხა, 746 ლარის ოდენობით.

მარკეტინგი და მასთან დაკავშირებული ხარჯები

ცხრილში მოცემულია მარკეტინგსა და სარეკლამო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები:

დასახელება	**თანხა**
სარეკლამო მომსახურება (სარეკლამო ვიდეორგოლების დამზადება)	320,636
საჩუქრები (ფერმერის წიგნი და საკანცელარიო საგნები)	180,893
ღვინო (5 ლ ტევადობის სადილზე,დანარჩენი საჩუქრად)	109,186
26 მაისის ღონისძიებები (გამოფენა "დამზადებულია საქართველოში")	31,843
პოლიგრაფიული მომსახურება (დაბეჭდილია ბადე სტიკერები)	54,314
სხვადასხვა მომსახურება (გახმოვანების აპარატის ქირა)	1,000
სულ	697,872

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეძენილი და დარიგებული სასაჩუქრე ნაკრების შესახებ ინფორმაცია:

დასახელება	**შეძენილი**	**დარიგებული**	**ნაშთი**
წიგნი	40,000 ცალი	31,487 ცალი	8,513 ცალი
პოლიეთილენის პარკი	40,000 ცალი	33,330 ცალი	6,670 ცალი
კალამი	40,000 ცალი	34,118 ცალი	5,882 ცალი
ბლოკნოტი	40,000 ცალი	31,913 ცალი	8,087 ცალი
კალენდარი	40,000 ცალი	33,851 ცალი	6,149ცალი
შესაკრავი ლენტა	40,000 ცალი	33,000 ცალი	7,000 ცალი
კეპი	100 ცალი	100 ცალი	-
მაისური	101ცალი	101 ცალი	-
ღვინო 0,75 ლ.	29,279 ბოთლი	17,659 ბოთლი	11,620 ბოთლი
ღვინო 5 ლ.	1,161 ბოცა	1,068 ბოცა	93 ბოცა
ღვინო „თეთრი“ 20 ლ.	50 ცალი	50 ცალი	-
ღვინო „საფერავი“ 20ლ.	3 ცალი	3 ცალი	-
ღვინო „საფერავი“ 10ლ.	5 ცალი	5 ცალი	-
სულ თანხა:	**290,079**	**209,629**	**80,450**

გამოვლენილი გარემოება

ფონდის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია (სია პერსონალური მონაცემებით), რომელიც შესაძლებელს გახდიდა იმ პირების (მოსახლეობის) იდენტიფიცირებას, თუ ვის გადაეცა საჩუქრები. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოთქვას მოსაზრება აღნიშნული - 180,893 ლარის ოდენობის ხარჯის რეალობაზე. პროექტის ფარგლებში შპს „გრუზვინპრომ"-ისგან შეძენილია 109,186 ლარის ღირებულების ღვინო (მათ შორის: 100,479 ლარის საჩუქრის სახით გადასაცემად, ხოლო 8,707ლარის სადილზე მისართმევად). აღნიშნული ხარჯის გაწევა პროექტის მიზნების მისაღწევად, აუცილებლობას არ წარმოადგენდა, ამდენად იგი შეიძლება ჩაითვალოს არამიზნობრივ ხარჯად.

საწვავი და ავტომანქანის ხარჯები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ფონდს აგროტურის განსახორციელებლად უსასყიდლო თხოვების წესით გადასცა 10 ერთეული „ჰიუნდაის" მარკის 45-ადგილიანი ავტობუსი. ფონდმა პროექტის ფარგლებში შეიძინა 3 ერთეული „ფორდის" მარკის მიკროავტობუსი (144,662 ლარი) და აგროტურის მონიტორინგისთვის ავტომანქანა ჯიპი - „ჰიუნდაი სანტაფე" (25,130 ლარი). სატრანსპორტო საშუალებები გადანაწილდა რეგიონებში. ავტობუსების საშუალებით ხდებოდა 42, ხოლო მიკროავტობუსებით - 15 ფერმერის გადაადგილება.

აგროტურის განსახორციელებლად, სულ შეძენილია 280,477 ლარის ღირებულების საწვავი. მათ შორის: 32,782 ლარის ღირებულების 14,200 ლიტრი ბენზინი, 247,695 ლარის ღირებულების 103,000 ლიტრი დიზელი. პროექტის ფარგლებში ჩამოწერილია 102,022 ლიტრი დიზელი და 14,200 ლიტრი ბენზინი. მიუხედავად პროექტის დასრულებისა, სექტემბერსა და ოქტომბერში ავტობუსებსა და მიკროავტობუსებზე ჩამოწერილია 7,141 ლიტრი დიზელის საწვავი, რაც ფონდის განმარტებით, განპირობებული იყო რეგიონებში საჩუქრების სახით დარჩენილი ნაშთების ტრანსპორტირებისათვის.

ცხრილში წარმოდგენილია საწვავის, ტრასპორტის შეძენის და ექსპლუატაციის ხარჯები

დასახელება	**თანხა**
საწვავის შეძენა	280,477
ავტოტექმომსახურება	59,391
ავტომანქანების დაზღვევა	43,859
GPS სისტემის მომსახურება	7,343
Ford Tranzit bus 430 მარკის 3 ერთეული	144,662
HYNDAI SANTA FE მარკის ჯიპი	25,130
სხვადასხვა მომსახურება	3,277
სულ:	**564,139**

გამოვლენილი გარემოება

თითოეულ ავტობუსსა და მიკროავტობუსზე დამონტაჟებული იყო GPS მოწყობილობა, რომლითაც უნდა გაკონტროლებულიყო მათი გადაადგილება, თუმცა ფონდს არ გააჩნია ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შესახებ GPS სისტემის მიერ დაფიქსირებული ინფორმაცია, ამიტომ ვერ ხერხდება იმის იდენტიფიცირება, თუ როდის და სად გადაადგილდებოდა აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებები. შესაბამისად, შეუძლებელია 280,477 ლარის ღირებულების საწვავის ხარჯვის მიზნობრიობის დადგენა.

კვების ხარჯები

პროექტის ფარგლებში, მოწვეული სტუმრებისა და თანამშრომელთა კვების მიზნით, ფონდსა და შპს „ორ წუთს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ორი წუთი“ ახორციელებდა კვებითი მომსახურების გაწევას დღეში ერთხელ, „შვედური სუფრით“ (ერთი კაცის კვების ღირებულება თავდაპირველად 13 ლარი, შემდეგ 19 ლარი). მომსახურების მიწოდება ხდებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა დღეებში, 34,072 მოწვეულ სტუმარს გაეწია კვებითი მომსახურება, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 629,800 ლარი.

ასევე სხვადასხვა დღეებში, ჯამში 420 სტუმარზე - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებზე, გაწეულია 8,976 ლარის ხარჯი(ხელშეკრულების მიხედვით ერთი კაცი კვების თანხა თავდაპირველად შეადგენდა 19,2ლარს, შემდეგ 23ლარს).

ფონდსა და ინდ. მეწარმე „აბესალომ კვირკველიას“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა საბანკეტო მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით 5,000 ლარი. ერთ პერსონაზე სტანდარტული პაკეტით მომსახურების ღირებულება შეადგენდა 16.30 ლარს. ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტში (მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 4,679 ლარი) არ არის მითითებული სად გაიმართა ბანკეტი, რამდენ პერსონაზე ან ვისთვის იყო გათვალისწინებული საბანკეტო მომსახურება.

გამოვლენილი გარემოება

კვებით მომსახურებაზე შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია მხოლოდ კვებით მოსარგებლეთა (ფერმერების/გლეხებისა და სამინისტროს თანამშრომელთა) რაოდენობა. ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია (სია პერსონალური მონაცემებით), რომელიც შესაძლებელს გახდიდა იმ პირების იდენტიფიცირებას, ვისზეც იქნა გაწეული აღნიშნული ხარჯები. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოთქვას მოსაზრება აღნიშნული 661,029 ლარის ოდენობის ხარჯის რეალობაზე.

გამოვლენილი გარემოება

მიუხედავად სექტემბრის დასაწყისში პროექტის მოსალოდნელი შეწყვეტისა, სექტემბერში შეძენილია წყალი „სნო“ 20,600 ცალი (ამ პერიოდში ნაშთად იყო დარჩენილი 5,212 ბოთლი), რაც მიუთითებს პროექტის ხარჯების არასწორად დაგეგმვასა და ზოგადად, არაეფექტიან მუშაობაზე. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით აღნიშნული წყლის ნაშთი 25,812 ცალი ბოთლი უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

გამოვლენილი გარემოება

ამრიგად, 2,185,000 ლარის ათვისებაზე წარმოდგენილი არასრულყოფილი დოკუმენტებიდან გამომდინარე ვერ დგინდება ხარჯების გაწევის რეალობა, რაც შეუძლებელს ხდის დადგინდეს მისი მიზნობრივობა.

თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაციის პროექტის ძირითადი მიზანი იყო სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების გაცნობა-დათვალიერებისა და ფერმერთათვის ახალი ტექნოლოგიების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდება. თუმცა, არ არსებობს არანაირი დოკუმენტი, ინფორმირებულ ფერმერთა ვინაობის შესახებ. შედეგად, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს რწმუნებას პროექტის განხორციელებით მიღწეული შედეგის შესახებ.

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაცია (ქ. ლონდონი)

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილით, ფონდს დაევალა 2012 წლის ივლისში ქ.ლონდონში საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებით, ქართული კულტურის, სპორტის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილი „ქართული დღეების“ გამართვისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით[12], ქ.ლონდონში აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებების მოწყობის დაფინანსების მიზნით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოეყო 100,000 ლარი ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდისთვის“ გადასაცემად.

2012 წლის 29 ივლისიდან 2012 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით, ქ.ლონდონში დაგეგმილი ღონისძიებებისათვის ფონდის მიერ პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვაზე გაწეულია 178,436 ლარის ოდენობის ხარჯი, ფონდის მხრიდან თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 78,436 ლარი.

ცხრილში მოცემულია ქ. ლონდონში გამოფენის ღონისძიებების ხარჯები:

მომწოდებელი	ხელშეკრულების საგანი	თანხა
შპს „ლასარე"	სატვირთო სატერმინალო მომსახურების შესყიდვა	11,166
სს „ჯგუფი-ემ გრუპი“	გამოფენა, ავიაბილეთები და კვების პროდუქტები	77,962
შპს „მეიდან ექსპრესი“	ტვირთის გადაზიდვა ლონდონის მიმართულებით	9,185
შპს - APARTMENTS OF LONDON	სასტუმრო, პავილიონის იჯარა და გამოფენა	79,005
საკურსო სხვაობა		1,118
სულ:		**178,436**

გამოვლენილი გარემოება

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ „ჯგუფ - ემ გრუპთან“ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტში არ ფიქსირდება ღონისძიებაში მონაწილე პირების რაოდენობა და ვინაობა. წარმოდგენილია ხარჯების ზოგადი ჩამონათვალი: ავიაბილეთების, ვიზების, მზარეულების ანაზღაურებისა და შესაძენი კვების პროდუქტების ჩამონათვალი, სულ 77,962 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე, ქ.ლონდონში APARTMENTS OF LONDON LTD-ისაგან შეძენილ იქნა სასტუმროს, პავილიონის იჯარისა და მოწყობის მომსახურება, სადაც გაიმართა ქართული აგროსასურსართო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები. 2012 წლის 14 მაისს გადარიცხულია 32,750 გირვანქა სტერლინგი, საიდანაც 26,000 გირვანქა სტერლინგი შეადგენს 4 თვის ქირის ღირებულებას, ხოლო 6500 გირვანქა სტერლინგი გადარიცხულია საგარანტიოდ.

გამოვლენილი გარემოება

ღონისძიება მიმდინარეობდა 2012 წლის 29 ივლისიდან 2012 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით. გაურკვეველია რატომ არის 4 თვის ვადით დაქირავებული და ასევე ვერ დადგინდა იმ პირთა რაოდენობა და მონაცემები, ვინც სარგებლობდა ამ აპარტამენტებით. 6500 გირვანქა სტერლინგი წარმოადგენდა ავანსს, რომელიც ექვემდებარებოდა უკან დაბრუნებას, თუმცა ლონდონიდან გამოგზავნილი CHECK OUT REPORT-დან ჩანს, რომ გაურკვეველი პირების მიერ მიყენებულ იქნა მატერიალური ზარალი თანხით - 4,008 გირვანქა სტერლინგი და შესაბამისად, ფონდის ანგარიშზე დაბრუნებულია მხოლოდ 2,492 გირვანქა სტერლინგი.

[12] 2012 წლის 25 ივნისის N890 განკარგულება.

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაცია (ქ.ბერლინი)

საქართველოს მთავრობის განკარგულებით[13], გერმანიაში, ქ.ბერლინში ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიების გამართვის მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოეყო 360,000 ლარი, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდისათვის“ გადასაცემად.

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2012 წლის 24-27 მაისს გერმანიაში, ქ. ბერლინში ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებების მოწყობის მიზნით, სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ გრუპისგან" შესყიდულ იქნა სხვადასხვა სახის პროდუქცია და მომსახურება ღირებულებით 79,325 ლარი, ასევე SOVADA IMS LTD -ისგან პავილიონის იჯარისა და სასტუმროს მომსახურება - 364,931ლარი, სულ 444,256 ლარი. ფონდის მხრიდან თანადაფინანსებამ შეადგინა 84,256 ლარი.

გამოვლენილი გარემოება

3 ფიზიკური პირის ქ.ბერლინიდან დაბრუნების თარიღად მითითებულია 30-31 მაისი (ღონისძიება იმართებოდა 24-27 მაისს), უცნობია მათი დაყოვნების მიზეზი.

გამოვლენილი გარემოება

მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიება იმართებოდა 24-27 მაისს, ერთ-ერთი მზარეული გაემგზავრა 2012 წლის 17-18 მაისს, რომლის ხარჯმაც შეადგინა 2,306 ლარი (მ.შ. ბილეთი: თბილისი-მიუნხენი-ბერლინი-ვარშავა-თბილისი - 2,064 ლარი, ხოლო სასტუმრო - 242 ლარი). ასევე აღნიშნული პიროვნება ქ. ბერლინში გაემგზავრა 21 მაისს და ჩამოფრინდა 30 მაისს. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება 17-18 მაისს ამ პიროვნების გერმანიაში გამგზავრების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

გამოვლენილი გარემოება

SOVADA IMS LTD-ის მიერ წარმოდგენილია 2 ინვოისი საერთო თანხით - 175,000 ევრო. აღსანიშნავია, რომ SOVADA IMS LTD -სთან ხელშეკრულება გაფორმებული არ არის და შესაბამისად, არც მიღება-ჩაბარების აქტია შედგენილი. ინვოისების მიხედვით, შესყიდულია პავილიონის იჯარისა და სასტუმროს მომსახურება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ ირკვევა მომსახურების სახეები და პირობები, ვინ და რამდენმა სტუმარმა მიიღო აღნიშნული მომსახურება. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოთქვას მოსაზრება აღნიშნული 364,931 ლარის ოდენობის ხარჯის რეალობაზე.

უცხოელი ტურისტებისთვის ღვინის დარიგება

საქართველოს მთავრობის განკარგულების[14] შესაბამისად, სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ფონდის ანგარიშზე გადმორიცხულია 100,000 ლარი, რომელიც მიზნად ისახავდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საქართველოში წარმოებული ღვინის პროდუქციის (1 ბოთლი - 187 მლ.) ქვეყანაში საჰაერო ტრანსპორტით ჩამოსული უცხოელი ვიზიტორებისათვის უსასყიდლოდ გადაცემას. პროექტის ფარგლებში შპს „გრუზვინპრომთან“ გაფორმდა მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვაზე ხელშეკრულება. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე (მიღება-ჩაბარების აქტები და ინფორმაცია სასაზღვრო სამიგრაცო-კონტროლის განყოფილებიდან) შესყიდულია და თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში 2012 წლის 6 სექტემბრიდან 24 ნოემბრამდე დარიგებულია 92,009 ლარის ღირებულების 88,470 ბოთლი ღვინის პროდუქცია. დარჩენილი ნაშთი -7,991 ლარი, 2013 წლის 20 დეკემბერს დაბრუნებულია სახელმწიფო სახაზინო სამსახურის ანგარიშზე.

---

[13] 2012 წლის 14 მაისის N935 განკარგულება.

[14] 2012 წლის 13 ივლისის №1336 განკარგულება.

მმართველობაში შემავალი *კომპანიების მიერ განხორციელებული პროექტები*

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება - შპს „მექანიზატორი“

საქართველოს მთავრობის განკარგულებების[15] თანახმად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად ფონდს გადაურიცხა 15,400,000 ლარი, რომელიც ფონდის მიერ მიმართულ იქნა შპს „მექანიზატორის“ ანგარიშზე. სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შპს „მექანიზატორმა“ დაგეგმა დაახლოებით 43 მილიონი ევროს ღირებულების ტექნიკის შეძენა.

ევროპელი ტექნიკის მწარმოებელი ქვეყნებიდან დაფინანსების წყაროდ დაიგეგმა (15,400,000 ლარის გარდა) მფლობელის ინვესტიცია და საქართველოს ბანკის გრძელვადიანი სესხი. პროექტის მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არსებული დეფიციტის ეტაპობრივი აღმოფხვრა და ფერმერთათვის ხელმისაწვდომობის ზრდა. პროექტის ფარგლებში შპს „მექანიზატორმა“ შეიძინა 335 ტრაქტორი, 50 კომბაინი, 1,375 აგრეგატი, 14 სპეცტექნიკა და 137 კომბაინის ჰედერი. საქართველოს მთავრობის განკარგულების[16] თანახმად, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგის ხელშეკრულებით შეძენის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იაპონური გრანტის პროგრამა 2KR-ის ფარგლებში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე აკუმულირებული 7,358,770 ლარი გადარიცხა სს „საპარტნიორო ფონდის“ ანგარიშზე, რომელიც ასევე მიმართულ იქნა შპს„მექანიზატორის“ ანგარიშზე.პროგრამის ფარგლებში მოხდა მცირე და საშუალო სიმძლავრის ბელორუსიის წარმოების ტექნიკის შეძენა (270 ტრაქტორი, 12 ექსკავატორ-დამტვირთველი, 250 გუთანი და 20 ნიადაგის გამაფხვიერებელი ფრეზა). პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 16,500,000 ლარს, რომლის ნაწილიც დაფინანსდა გამოყოფილი თანხიდან, დარჩენილი ნაწილის ანაზღაურება ხდება ლიზინგის წესით (სს „პრომაგროლიზინგი“). ლიზინგის ვადა 3 წელია, შესაბამისად, ტექნიკის ღირებულების სრული გამოსყიდვა მოხდება 2015 წლის მაისში.

საქართველოს მთავრობის განკარგულების[17] თანახმად, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გამოიყო 50,041,000 ლარი, ხოლო სალიზინგო ხელშეკრულების ფარგლებში აღებული 2012 წლის ვალდებულებების დასაფარად - 1,950,000 ლარი, ანუ 51,991,000 ლარი. 2012 წელს სულ პროექტის ფარგლებში გამოიყო 74,749,770 ლარი, საიდანაც 51,991,000 ლარის ათვისება განხორციელდა 2013 წელს.

სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საწვავით უზრუნველყოფა - შპს „მექანიზატორი“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების[18] საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 300,000 ლარი მიმართა ფონდის ანგარიშზე 2012 წლის 19 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დიზელის საწვავით უზრუნველყოფის ღონისძიებათა განსახორციელებლად. ფონდმა შპს „მექანიზატორს“ კაპიტალში შეტანის გზით გადასცა ბრძანებით გამოყოფილი 300,000 ლარი და დაავალა დაზარალებულ ოჯახებზე დიზელის საწვავის გადაცემა. შპს „მექანიზატორის“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, 13,079 დაზარალებულ ოჯახს დაურიგდა 122,730 ლიტრი საწვავი, ღირებულებით 259,524 ლარი, ხოლო დარჩენილი 40,476 ლარი 2013 წლის 20 დეკემბერს დაბრუნებულია სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე.

---

[15] 2012 წლის 18 იანვრის N36 განკარგულება.

[16] 2011 წლის 27 დეკემბრის №2587 და 2012 წლის 24 იანვრის N123 განკარგულებები.

[17] 2012 წლის 24 დეკემბრის N2039 განკარგულება.

[18] 2012 წლის 28 ივლისის №1153 და 09 აგვისტოს №1176 ბრძანებები.

მევენახეობის განვითარების ღონისძიებები - სს „სოფლის მეურნეობის კორპორაცია“

საქართველოს მთავრობის განკარგულებით[19], სსიპ „ღვინის ეროვნულმა სააგენტომ“ ყურძნის ქართული ტრადიციული ჯიშების პოპულარიზაციისათვის, ვენახების გაშენებისა და სხვა ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, გამოყოფილი ასიგნებიდან 1,500,000 ლარი მიმართა ფონდის ანგარიშზე. 2012 წლის 4 ივლისს ფონდის მიერ თანხა გადაერიცხა სს „სოფლის მეურნეობის კორპორაციას“. ვაზის პოპულარიზაციის პროექტი ითვალისწინებდა ქართული ვაზის ჯიშების შენარჩუნებასა და გაშენებას ტერასული ტიპის ვენახებზე თბილისსა და ასპინძის რაიონში.

პროგრამა მოიცავდა შემდეგ ობიექტებს:

- ასპინძის ტერასები -2,3 ჰა
- თბილისი, წმინდა ნინოს ძეგლის მიმდებარე ტერიტორია -1,8 ჰა
- თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია - 0,7 ჰა

აუთვისებელი თანხა - 263,598 ლარი, 2013 წლის 20 დეკემბერს დაბრუნდა სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე.

„სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია“- მმართველობაში შემავალი *კომპანიები*

საქართველოს მთავრობის განკარგულებების[20] შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოყოფილი ასიგნებიდან, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ხილისა და ბოსტნეულის წარმოების განვითარების, სასათბურე მეურნეობის რეაბილიტაციის, ექსტენციის სადგურების/კვლევითი ცენტრების დაფუძნების, მექანიზაციის სერვისცენტრების დაარსების, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების შექმნისა და მარცვლეულის წარმოების ინტენსიფიკაციის ღონისძიებების დაფინანსებისათვის 46,956,600 ლარი ეტაპობრივად გადარიცხა ფონდის ანგარიშზე (მათ შორის, 4,016,600 ლარი გამოიყო 2012 წლის 24 დეკემბერს, ათვისება მოხდა 2013 წელს).

პროექტის ფარგლებში თანხები გადანაწილდა მმართველობაში შემავალი კომპანიებზე, შემდეგი დანიშნულებით:

მმართველობაში შემავალი კომპანიები	თანხა	განხორციელებული ღონისძიებები
შპს „საკვების წარმოების კომპანია“	4,493,600	შეძენილია პარტნიორის წილი 59%
შპს „მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანია“	4,000,000	სიმინდის თესლის შეძენა
შპს „საქართველოს სათბურების კომპანია“	1,024,595	წეროვანის სათბურის რეაბილიტაცია
შპს „გორის სასათბურე მეურნეობა“	2,197,740	გორის სათბურის რეაბილიტაცია
სს „სოფლის მეურნეობის კორპორაცია“	11,700,000	ბოსტნეულის სადემონსტრაციო ნაკვეთები
შპს „მექანიზატორი“	23,516,600	12 მექანიზაციის სერვის ცენტრი
შპს „გეოლაინ +“	24,065	სასუქის შეძენა
სულ:	**46,956,600**	

[19] 2012 წლის 18 ივნისის N1191 განკარგულება.

[20] 2012 წლის 24 იანვრის №121, 2012 წლის 15 მარტის №450, 2012 წლის 5 აპრილის №607, 2012 წლის 10 ოქტომბრის №1865, 2012 წლის 24 დეკემბრის № 2053 განკარგულებები.

შპს „მექანიზატორის“ მიერ 2012 წლის ბოლოს მიღებული თანხებიდან გაუხარჯავი დარჩა 1,058,223 ლარი (სერვისცენტრების მშენებლობიდან წარმოქმნილი დავალიანების დასაფარავად), რომელიც ამოღებულ იქნა მისი საწესდებო კაპიტალიდან და 2013 წელს დაბრუნდა სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე.

„რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“ - შპს „აკურა“ და შპს „გრუზვინპრომი“

საქართველოს მთავრობის განკარგულებების[21] საფუძველზე, „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებიდან, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ღვინის ეროვნულმა სააგენტომ“ ყურძნის შესყიდვის, გადამუშავებისა და თანმდევი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, 28,000,000 ლარი მიმართა ფონდის ანგარიშზე, საიდანაც სს „აკურას“ რთველთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებისათვის მიღებული აქვს 8,800,000 ლარი, ხოლო შპს „გრუზვინპრომს“ - 19,200,000 ლარი.

სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის ღვინის შესყიდვა და კომპენსაციის სახით გადაცემა - შპს „გრუზვინპრომი“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების[22] საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის 1,300,000 ლარი გამოიყო 2012 წლის 19 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ღვინით უზრუნველყოფის ღონისძიებათა განსახორციელებლად. გაფორმდა მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულება შპს „გრუზვინპრომთან“. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 59,438 დაზარალებულ ოჯახს დაურიგდა 1,299,008 ლარის ღირებულების ღვინო („საფერავი“ - 837,955 ლარი, „რქაწითელი“ - 461,053 ლარი).

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით გამოყოფილი თანხა ფონდის ანგარიშზე არ ჩარიცხულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გრუზვინპრომს“ გაწეული ხარჯი არ აუნაზღაურდა და ფონდს მის მიმართ წარმოეშვა 1,299,008 ლარის ვალდებულება. შესაბამისად, ფონდსა და კომპანიას შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა.

2013 წელს განხორციელებული პროექტები

2013 წელს, რაიმე არსებითი ნაკლოვანება სააგენტოს საქმიანობაში არ გამოვლენილა, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ არც ერთი პროექტი, გარდა ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან“ მიღებული თანხისა, რომელიც მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობისა და შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტებისთვის იყო გამიზნული, სააგენტოს აღარ განუხორციელებია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის მასშტაბში არ შედიოდა, ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან“ მიღებული სახსრების ხარჯვის შესაბამისობის დადგენა, რადგან ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც არანაირი სახის სახელმწიფო რესურსს არ განკარგავს.

2013 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული აქვს 127,357,100 ლარი (მათ შორის, 98,370,800 ლარი მიმდინარე პროექტებისთვის, ხოლო 28,986,300 ლარი - 2014 წელს განსახორციელებელი პროექტებისთვის).

[21] 2012 წლის 17 ივლისის N 1392 და 2012 წლის 24 დეკემბრის N2038 განკარგულებები.
[22] 2012 წლის 06 სექტემბრის N 1242 და 2012 წლის 28 სექტემბრის N 1302 ბრძანებები.

ქვემოთ მოცმულ ცხრილში წარმოდგენილია 2013 წელს მიღებული დაფინანსებით განხორციელებული პროექტები:

პროექტის დასახელება	გამოყოფილი თანხა	ათვისებული თანხა	დაბრუნდა ბიუჯეტში	განმახორციელებელი
სს „ტექნიკის განახლება“	86,000,800	65,522,500	20,478,300	შპს „მექანიზატორი“
სს „წარმოების ინტენსიფიკაცია“	12,370,000	3,862,000	8,508,000	მმართველობაში შემავალი კომპანიები
სულ:	**98,370,800**	**69,384,500**	**28,986,300**	

„სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება“ - შპს „მექანიზატორი“

საქართველოს მთავრობის განკარგულებების[23] თანახმად, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (მათ შორის, მიწის რეაბილიტაციის ტექნიკის) შესაძენად, მექანიზატორების გადამზადებისათვის და გაფორმებული სალიზინგო და სასესხო ხელშეკრულების 2013 წლის ვალდებულებების დასაფარავად, გამოიყო 86,000,800 ლარი, რომელიც ჩაირიცხა ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ ანგარიშზე. სააგენტოს საბანკო ანგარიშზე, ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, ასევე იყო 2012 წლის ბოლოს გამოყოფილი და აუთვისებელი 51,991,000 ლარი, სულ - 137,991,800 ლარი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2013 წელს პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯები:

დასახელება	თანხა
ტექნიკის შეძენა და თანმდევი ღონისძიებები	64,963,500
სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა	52,550,000
აუთვისებელი და ხაზინის ანგარიშზე დაბრუნებული თანხა	20,478,300
სულ:	**137,991,800**

პროექტის ფარგლებში შპს „მექანიზატორმა“ შეიძინა შემდეგი სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა:

დასახელება	რაოდენობა	თანხა	ვალუტა
ტრაქტორი	290	11,634,950	ევრო
გუთანი	314	727,498	ევრო
მარცვლეულის სათესი	390	3,387,580	ევრო
დისკებიანი ფარცხი	290	2,596,340	ევრო
მუხლუხა ტრაქტორი	24	969,600	ევრო
ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფრეზი	290	1,600,400	ევრო
რიგთაშორისი კულტივატორი	100	812,000	ევრო
მოტო ბლოკი	1,700	2,805,000	ევრო
ჰერბიციდისა და სასუქის შემტანი	65	317,600	ევრო
ხელის მექანიკური სათესი	2,000	200,000	აშშ დოლარი
თითებიანი ფარცხი	54	111,238	ლარი
გუთანი	22	60,500	ლარი
„პიკაპი“	21	819,000	ლარი
სპეცაღჭურვილობა „პიკაპებისათვის“	-	18,500	ლარი
ლაფეტი	6	335,000	ლარი
საწვავმზიდი	24	598,500	ლარი
გამწევი უნაგირა ავტომანქანა	2	319,200	ლარი

[23] 2013 წლის 11 იანვრის N22 და 2011 წლის 27 დეკემბრის N2587 განკარგულებები.

„სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია“- მმართველობის სფეროში შემავალი კომპანიები

საქართველოს მთავრობის განკარგულების[24] თანახმად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, სააგენტოს გამოეყო 12,370,000 ლარი. სააგენტოს მმართველობაში შემავალი კომპანიებს გადაერიცხათ 3,862,000 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნდა აუთვისებელი 8,508,000 ლარი. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში 2012 წლის ბოლოს ჩარიცხული 4,016,600 ლარიდან, 2013 წელს ათვისებულია 2,958,377ლარი, ხოლო 1,058,223 ლარი დაბრუნდა ბიუჯეტში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2013 წელს მიღებული თანხების გადანაწილება მმართველობაში შემავალი კომპანიებზე:

მმართველობაში შემავალი კომპანიები	თანხა	განხორციელებული ღონისძიებები
შპს „საქართველოს სათბურების კომპანია“	390,000	3 ჯიშის პამიდვრის მოყვანა
შპს „გორის სასათბურე მეურნეობა“	1,900,000	პამიდვრის მოსავლის მიღება და ჩითილის გადარგვა
შპს „საკვების წარმოების კომპანია"	350,000	მიწის ნაკვეთის შესყიდვა და დავალიანებების დაფარვა
შპს „ქართული ბოსტნეული"	800,000	ხილის სადემონსტრაციო ნაკვეთები
შპს „მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანია"	422,000	ხორბლის წარმოების და ჯიშთა გამოცდის პროექტი
სულ:	**3,862,000**	

გამოვლენილი გარემოება

2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი დაფინანსებიდან (98,370,800 ლარი) ათვისებულია მხოლოდ 69,384,500 ლარი 70,5%, ხოლო დარჩენილი თანხა 28,986,300 ლარი დაბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქართველოს მთავრობის განკარგულების[25] მიხედვით, აუთვისებელი და ბიუჯეტში დაბრუნებული თანხები (შესაბამისად, 8,508,000 ლარი და 20,478,300 ლარი), კვლავ სააგენტოს ანგარიშზე მიიმართა - 2014 წლის შეღავათიანი აგროკრედიტის დაფინანსებისათვის 6,586,300ლარი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ღონისძიებებისათვის - 22,400,000 ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 2013 წელს სააგენტოს „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან“ მიღებული აქვს 234,264,586 ლარი, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობისა და შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტებისთვის. 2013 წელს ათვისებულია 196,997,590 ლარი, ხოლო დარჩენილ თანხით და 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმავე მიზნებისათვის გამოყოფილი დაფინანსებით, პროექტები 2014 წელსაც გრძელდება.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ანა ალავერდაშვილი

ნიკა ბიჩინაშვილი

სოფიო კობახიძე

[24] 2013 წლის 29 იანვრის N111 განკარგულება.

[25] 2013 წლის 23 დეკემბრის N2144 განკარგულება.